

სიღნაღი ფოტოგამოფენას „დიეგო და ფრიდა. დიმიდი შუა გზაზე“ მასპინძლობს

✘ სიღნაღის მუზეუმში დიეგო რივერასა და ფრიდა კაროს სტუდია-მუზეუმიდან (Museo Casa Estudio Diego Rivera y Frida Kahlo) ფოტოგამოფენა „დიეგო და ფრიდა“. დიმიდი შუა გზაზე“ გაიხსნა. პროექტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, მექსიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

სიღნაღის მუზეუმის ექსპოზიციებზე სტუმრები იხილავენ ფრიდასა და დიეგოს ყოველდღიური ცხოვრების ამსახვედ 100-მდე ფოტონამუშევარს. მექსიკის ხელოვნების ისტორიაში გამორჩეული წყვილის ყოველდღიური ცხოვრება, ხედმორედ ქორწინება, სახელოსნოში მუშაობის პროცესი მოექცა არაერთი ფოტოგრაფის ობიექტივში. მათ შორის არიან: გიდერმო კარო, პიტერ ჯური, გიდერმო ბამორა, ნიკორა მიურეი, ედვარდ ვესტონი, მანუელ ადვარეს ბრავოსა და ხუან გუსმანი.

დიეგოსა და ფრიდას ურთიერთობა 25 წელს გაგრძელდა – ქორწინებიდან (1929) ფრიდას გარდაცვალებამდე (1954). ქორწინება სავსე იყო სიყვარულით, სიძუღვირითა და ბრძოლით. ისინი არაერთხელ გაშორდნენ და შერიგდნენ. უთანხმოებებისა და განშორებების მიუხედავად, ორივემ ისწავლა თუ როგორ უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი და შეენარჩუნებინათ ურთიერთობა.

გამოფენა საშუალებას გვაძრევს გავცნოთ მე-20 საუკუნის ამ გამორჩეული წყვილის ცხოვრებას უნიკალური ფოტომასაღის საშუალებით. მე-20 საუკუნის ამ ცნობილი წყვილის პირადი ცხოვრების ამსახვედი გამოფენა პირველად 2002 წელს მოეწყო დიეგო რივერასა და ფრიდა კაროს სტუდია-მუზეუმში. მას შემდეგ გამოფენა მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყანაში.